სატელევიზიო არხების საარჩევნო მონიტორინგი

27 ოქტომბერი - 15 ნოემბერი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველომ დაასრულა მედიის მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში. მონიტორინგი დაიწყო 15 მაისს და დასრულდა 15 ნოემბერს. დაკვირვება მოიცავდა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე და შემდეგ კერძო არხებზე: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო და კავკასია.

მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს არჩევნების დღეს, 27 ოქტომბრისა, და მის შემდგომ პერიოდს 15 ნოემბრის ჩათვლით.[1]

მონიტორინგის ამ პერიოდში ტელევიზიების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- 27 ოქტომბერს ყველა არხის საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვება, ზოგ არხზე თითქმის მთელი პრაიმტაიმი, არჩევნებს მიეძღვნა. ყველა არხზე საკმაოდ ინფორმაციულად და დეტალურად იყო გადმოცემული არჩევნების მიმდინარეობა, კანდიდატებისა და პოლიტიკოსების აქტივობა. აქტიურად ცხადდებოდა ეგზიტპოლების შედეგები. ყველა საინფორმაციო გამოშვება იყო ნეიტრალური და არ შეინიშნებოდა მიკერძოება რომელიმე მხარეს.

[1] ანგარიშში მოცემული რაოდენობრივი მონაცემების გრაფიკები არ შეიცავს 27 ოქტომბრის მონაცემებს, რადგან არჩევნების დღეს გასული საკმაოდ გრძელი საინფორმაციო გამოშვებები მონიტორინგის ამ პერიოდში არსებულ საერთო ტენდენციას არასწორად წარმოაჩენს.

- მთელი მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში, პირველად დათმობილი დროის მიხედვით პრემიერ-მინისტრი არც ერთ არხზე (მაესტროს გარდა) არ მოხვდა პირველ ხუთეულში. ის გიორგი მარგველაშვილმა ჩაანაცვლა.
- არჩევნების შემდეგ დღეებშიც აქტიურად და დეტალურად შუქდებოდა ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა არხზე მომზადდა ანალიტიკური სიუჟეტები არჩევნების, მოქმედი და ახლადარჩეული პრეზიდენტების და ინაუგურაციის თემასთან დაკავშირებით.
- 28 ოქტომბერს რუსთავი 2-სა და იმედის საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში პირდაპირ ეთერში გადმოცემული იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართვა, რომელიც 40 წუთს გაგრძელდა. ამის გამო ამ ორ არხზე პრეზიდენტს დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი წილი აქვთ (რუსთავი 2-ზე 81%, იმედზე - 64%).

27 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს და მის შედეგებს დაეთმო. 27 ოქტომბერს ყველა არხის საღამოს საინფორმაციო გამოშვებები მხოლოდ არჩევნების დღის მიმდინარეობას და ეგზიტპოლების შედეგებს განიხილავდნენ. მომდევნო დღეებში კი, უკვე არჩეული პრეზიდენტი, მისი ბიოგრაფია, ახალი კონსტიტუცია, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის 9 წელი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალი შემადგენლობა, ინაუგურაციის დეტალები და ამ თემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები იყო წინ წამოწეული. მონიტორინგის ამ პერიოდში ასევე საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა მომავალი პრემიერ-მინისტრის საკითხი, მთავრობის შემადგენლობა, ქვეყნის ბიუჯეტი, თვითმმართველობის რეფორმა, პარლამენტის თბილისში გადმოტანის საკითხი, მიხეილ სააკაშვილის მიერ შეწყალებული პატიმრები, პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის გაცემა უცხოელებზე, სოჭის ოლიმპიადა, ვილნიუსის სამიტი და სხვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

27 ოქტომბერს საღამოს პირველ არხზე გავიდა 4-საათიანი უწყვეტი გამოშვება, რომელიც მთლიანად საპრეზიდენტო არჩევნებს დაეთმო. დეტალურად იყო განხილული დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები: როგორ მისცეს კანდიდატებმა, პრემიერ-მინისტრმა, მინისტრებმა და სხვა პოლიტიკურმა ფიგურებმა ხმა. განხილული იყო ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, თუ ვის მისცა ხმა. ასევე, ნაჩვენები იყო კადრები, როგორ აძლევდა ხმას მიხეილ სააკაშვილი და როგორ დახვდა მას საარჩევნო უბანთან პოლიტპატიმრების აქცია. ამასთან, ყოველი ორი-სამი სიუჟეტის შემდეგ ცხადდებოდა ეგზიტპოლების შედეგები. ამ გამოშვებაში ასევე მომზადდა სიუჟეტები ისეთ თემებზე, როგორიცაა: საკონსტიტუციო ცვლილებები, ახალი პრეზიდენტის უფლებები, 90-იანი წლებიდან მოყოლებული როგორ კეთდება პოლიტიკური პიარი და ა.შ. საერთო ჯამში გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული და მრავლისმომცველი იყო.

28 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებული, მიუკერძოებელი, ინფორმაციული და ხშირად ანალიტიკური იყო. არჩევნების თემა საკმაოდ ინფორმაციულად და დეტალურად გაშუქდა. განხილული იყო როგორც ქართველი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების შეფასებები, ასევე უცხოელი ექსპერტებისა და ორგანიზაციების დასკვნები. დადებითი და უარყოფითი ტონი მხოლოდ თავად ფაქტებისა და რესპონდენტების ტექსტებში ფიქსირდებოდა და არა ჟურნალისტის ტექსტში. ანალიტიკურად გაშუქდა კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს შეეხება (5 ნოემბერი), ეკონომიკური მდგომარეობა და ლარის კურსის რყევა (8 ნოემბერი), ასევე პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ ყოფილი პრეზიდენტის სტატუსი და პრივილეგიები (13 ნოემბერი).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში გავიდა რამდენიმე სიუჟეტი, რომელსაც სრული ინფორმაციისთვის აკლდა სხვადასხვა მხარის ბალანსი. მაგალითად შეიძლება დასახელდეს

11 ნოემბერს გასული სიუჟეტი გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუზე, რომელიც მან რუს ჟურნალისტებს მისცა. ნაჩვენები იყო ფრაგმენტი ინტერვიუდან და შეფასებული იყო როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის მხრიდან. თუმცა, რაც სიუჟეტს აკლდა, ეს არის მესამე მხარის, ექსპერტების აზრი.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რამდენიმე არხზე და მათ შორის პირველ არხზეც, დათმობილი დროის მიხედვით პრემიერ-მინისტრი პირველ ხუთეულში აღარ მოხვდა, რადგან გიორგი მარგველაშვილს დაეთმო მეტი დრო. რაც შეეხება სუბიექტების გაშუქებას ტონის მიხედვით, დადებითი ტონის ყველაზე მეტი წილი გიორგი მარგველაშვილს დაუფიქსირდა (40%), შემდეგ პრემიერ-მინისტრს (25%) და მთავრობას (30%). უარყოფითი ტონის ყველაზე მეტი წილი კი პრეზიდენტს ჰქონდა (24%), თუმცა, აღსანიშნავია, რომ მის შემთხვევაში დადებითი და უარყოფითი წილი თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული.



აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიაზე არჩევნების დღე გაშუქდა აქტიურად და სრულად, გაკეთდა ჩართვები საარჩევნო უბნებიდან, წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები. მაგრამ ინფორმაცია ძირითადად აჭარის რეგიონს შეეხებოდა და ეგზიტპოლების შედეგებსაც აჭარის მასშტაბით აცხადებდნენ.

მონიტორინგის პერიოდში ძალიან აქტიურად განიხილებოდა აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების საკითხი და, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი უშუალოდ ტელევიზიას ეხებოდა, არ შეინიშნებოდა სუბიექტურობა მისი გაშუქებისას და გაკეთდა სიუჟეტები, რომლებიც საბჭოს დაკომპლექტებისას არსებულ ხარვეზებსა და არასამთავრობოების შენიშვნებს ეხებოდა.

მონიტორინგის პერიოდში მოიმატა ცენტრალური ახალი ამბების გაშუქების წილმა. ძირითადად, ანალიტიკური და სრულფასოვანი სიუჟეტები აჭარის ამბებს ეხებოდა. თუმცა, მაგალითად, ევროკავშირის ასოცირებული ხელშეკრულების შესახებ 1 ნოემბერს გასული სიუჟეტი საკმაოდ ანალიტიკური იყო და საკითხი სრულად იყო განხილული.

ზოგადად, სიუჟეტებში ასევე იმატა ანალიტიკამ. ვრცელ სიუჟეტებში რესპონდენტების მხრივ ბალანსი დაცულია. თუმცა, კვლავაც ხშირია მოკლე და მშრალი სიუჟეტები, რომლებიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფაქტს აღწერს.

მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო, რომელიც ძირითადად ნეიტრალურად გაშუქდა. ზოგადად, მცირე იყო სუბიექტების უარყოფითი გაშუქების წილი. უარყოფითი ტონის ყველაზე დიდი მაჩვენებელი პრეზიდენტს დაუფიქსირდა ისევე, როგორც დადებითი ტონის ყველაზე დიდი მაჩვენებელი. საპრეზიდენტო კანდიდატებიდანაც გამარჯვებულ კანდიდატს, მარგველაშვილს ყველაზე მეტი დრო დაეთმო და ამ დროის თითქმის მესამედის განმავლობაში იგი დადებითად წარმოჩინდა. სხვა კანდიდატებს სულ რამდენიმე წუთი (3 წუთი ან ნაკლები) დაეთმოთ მონიტორინგის პერიოდში, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ დავით ბაქრაძეს კი - მხოლოდ 48 წამი.


აჭარის ტელევიზიაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
კოალიცია ქართული ოცნება (1სთ 1წთ)
9
87
4
მთავრობა (43წთ)
15
77
8
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (31წთ)
90
6
აჭარის მთავრობა (19წთ)
19
74
პრეზიდენტი (14წთ)
42
37
21
პრემიერ-მინისტრი (14წთ)
19
75
გიორგი მარგველაშვილი (13წთ)
26
72
პარლამენტის თავმჯდომარე (4წთ)
90
კობა დავითაშვილი (3წთ)
96
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (2წთ)
შალვა ნათელაშვილი (1წთ)
დემოკრატიული მოძრაობა (1წთ)
ნინო ბურჯანაძე (1წთ)

რუსთავი 2

რუსთავი 2-ს არჩევნების დღეს 4-საათიანი უწყვეტი გამოშვება ჰქონდა, რომელიც საკმაოდ ინფორმაციული და მრავალფეროვანი იყო. გაკეთდა ჩართვები სხვადასხვა პარტიების ოფისებიდან, საარჩევნო უბნებიდან, რეგიონებიდან. კომენტარს სთხოვდნენ პოლიტიკოსებს, აქტივისტებსა და ამომრჩევლებს. ხშირად აცხადებდნენ ეგზიტპოლის შედეგებს, რომელიც რუსთავი 2-მა თვითონვე დაუკვეთა ორგანიზაცია GFK-ს. არჩევნების დღეს საინფორმაციო გამოშვება არ იყო მიკერძოებული და თანაბრად ასახავდა ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესს.

თუმცა, არჩევნების შემდგომ პერიოდში რუსთავი 2-ის 9-საათიან კურიერში შედარებით მეტად გამოიკვეთა განსაკუთრებით დადებითი დამოკიდებულება პრეზიდენტ სააკაშვილისა და ყოფილი ხელისუფლების მიმართ. ამის საპირისპიროდ, კრიტიკული და უარყოფითი დამოკიდებულება კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. ამ კუთხით საინტერესო მაგალითია 7 ნოემბერს გასული სიუჟეტი გენერალური პროკურორის არჩილ კბილაშვილის მოღვაწეობის შეფასებისა და 2007 წლის 7 ნოემბრის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს დამოკიდებულებები არ იყო თანაბარი. მეტი აქცენტი კეთდებოდა პრეზიდენტისა და წინა ხელისუფლების დადებით კონტექსტში გაშუქებაზე, ვიდრე კოალიციის კრიტიკაზე ან უარყოფით წარმოდგენაზე. ასევე საინტერესოა, რომ მიკერძოებული დამოკიდებულება ქვეყნის შიგნით მიმდინარე საკითხების გაშუქებისას იგრძნობოდა. სიუჟეტები ისეთ თემებზე, როგორებიცაა საგარეო ურთიერთობები და ოფიციალური ვიზიტები, ყოველთვის ნეიტრალური ან დადებითი იყო საქართველოს მხარის მიმართ.

აქვე აღსანიშნავია, რომ 9-საათიან კურიერში ძალიან აქტიურად შუქდებოდა ვანო მერაბიშვილის სასამართლო საქმე, მისი განცხადებები თუ ამასთან დაკავშირებული Facebook პოსტები. უმეტეს შემთხვევაში ასეთ სიუჟეტებში იგი დადებითად იყო წარმოდგენილი, როგორც 6 ნოემბრის სიუჟეტში, რომელიც სასამართლოში მერაბიშვილის 26 მაისის საქმეს ეხებოდა.

პრეზიდენტ სააკაშვილისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება რაოდენობრივ მონაცემებშიც კარგად გამოჩნდა. თუმცა, გარკვეულწილად ეს არჩევნების შემდეგ დღეს მისი 40-წუთიანი მიმართვის გამოც მოხდა, რომელიც რუსთავი 2-ზე პირდაპირ ეთერში სრულად გავიდა. ამ მიმარვის დროს პრეზიდენტ სააკაშვილის პირდაპირმა საუბარმა განაპირობა მისი გაშუქების გამორჩეულად დიდი დადებითი წილი - 81 პროცენტი. გარდა ამისა, სხვა დღეებში გასულ გამოშვევებების რიგ სიუჟეტებშიც, მაგალითად, სააკაშვილის ვიზიტი ბრიუსელში, მისი შეხვედრა სტუდენტებთან ყვარელში, იგი საკმაოდ დადებითად იყო წარმოჩენილი.



იმედი

არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს, იმედზე საღამოს 2-საათიანი გამოშვება გავიდა. განხილული იყო არჩევნების მიმდინარეობა, ნაჩვენები იყო როგორ მისცეს ხმა კანდიდატებმა და სხვა პოლიტიკოსებმა. გაშუქებული იყო აქცია, რომელიც მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმრებმა მოუწყვეს მის საარჩევნო უბანთან. გადაცემის მსვლელობის დროს იყო

ჩართვები ქართული ოცნების ოფისებიდან, როგორც თბილისიდან ასევე რეგიონებიდან. გაშუქებული იყო თბილისის მერის განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით, სადაც მან გიორგი მარგველაშვილს მიულოცა გამარჯვება; იყო ასევე, დავით ბაქრაძის განცხადება, მან მადლობა გადაუხადა მოსახლეობას და შეაფასა არჩევნების პროცესი. ორჯერ გამეორდა სიუჟეტი ბიძინა ივანიშვილის ქართული ოცნების ოფისთან სიტვით გამოსვლის შესახებ, მასთან ერთად დავით უსუფაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის გამოსვლები. მთელი გამოშვების განმავლობაში აქტიურად ცხადდებოდა ეგზიტპოლის შედეგები.

არჩევნების შემდეგ კვირაშიც საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა არჩევნების შემდგომი პერიოდი. დეტალურად და ანალიტიკურად იყო განხილული ამ საკითხთან დაკავშირებული თემები. 29 ოქტომბერს გაკეთდა ანალიტიკური სიუჟეტი, სადაც სოციოლოგები აფასებდნენ პოლიტიკოსების რეიტინგების ცვლილებებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში და მსჯელობდნენ შესაძლო მიზეზებზე. ასევე, 30 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი სადაც განხილული იყო საქართველოს სამი პრეზიდენტი, მათი 5 ინაუგურაციის ცერემონია.

27 ოქტომრბიდან 15 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის ბოლო ნაწილში შედარებით იკლო ანალიტიკურმა და ვრცელმა სიუჟეტებმა, შესაბამისად იმატა მოკლე და მშრალმა სიუჟეტებმა, როგორც ეს 2013 წლის მონიტორინგის დასაწყისში შეინიშნებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტებს აკლდა რომელიმე მხარის პოზიცია ან საერთოდ არ იყო წარმოდგენილი რესპონდენტი, ჟურნალისტი უბრალოდ აწვდიდა მაყურებელს ინფორმაციას. ასეთი იყო, მაგალითად, 5 ნოემბერს გასული სიუჟეტი ყვარელში პრეზიდენტის სტუდენტებთან შეხვედრის შესახებ, სადაც მხოლოდ ჟურნალისტის მონათხრობით იყო შესაძლებელი, გაეგო მაყურებელს, რაზე ისაუბრა პრეზიდენტმა. თავად პრეზიდენტის სიტყვა ნაჩვენები არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ამ პერიოდში პრეზიდენტზე რამდენიმე უარყოფითი შინაარსის სიუჟეტი მომზადდა (მაგალითდ, 5 ნოემბრის სიუჟეტი პატიმართა შეწყალებაზე), მიხეილ სააკაშვილს დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი წილი - 64 პროცენტი დაუფიქსირდა. ეს გამოწვეულია 28 ოქტომბერს გასული პრეზიდენტის 40-წუთიანი მიმართვით მოსახლეობასთან, რომელიც სრულად, მთავარი საინფორმაციოს ფარგლებში, პირდაპირ ეთერში გავიდა. პრეზიდენტის მიმართვის ტექსტი საკმაოდ დადებითი იყო.

აქვე აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც სხვა არხებზე, იმედზეც არჩევნების შემდეგ დათმობილი დროის მიხედვით პრემიერ-მინისტრი აღარ მოხვდა პირველ ხუთეულში, იგი გიორგი მარგველაშვილმა ჩაანაცვლა.



მაესტრო

არჩევნების დღეს მაესტროზე განსაკუთრებით გრძელი საღამოს მთავარი საინფორმაციო არ გასულა. თუმცა, განხილული იყო ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც არჩევნების დღეს უკავშირდებოდა: ეგზიტპოლების შედეგები, საპრეზიდენტო კანდიდატებისა და პოლიტიკოსების მიერ ხმის მიცემის პროცედურა, პრეზიდენტის ხმის მიცემა და მის საარჩევნო უბანთან მოწყობილი აქცია, როგორ მისცეს ხმა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა და პატიმრებმა. იყო პირდაპირი ჩართვები „ქართული ოცნების“ ოფისებიდან. განხილული იყო ასევე რამდენად იყო დარღვევა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო უბნიდან გამოსვლის შემდეგ დაასახელა ვის მისცა ხმა. საერთო ჯამში გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული იყო, მიმოიხილავდა იმ დღისთვის და იმ მომენტისთვის არსებულ ყველა ინფორმაციას.

მაესტროზე გასული მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ნელ-ნელა მცირდება დროში და დღის მთავარი მოვლენების ფაქტად გადმოცემის ფუნქციას ითავსებს. ხშირად ანონსდება სიუჟეტები, რომლებიც არხ მ24-ზე უნდა გავიდეს. ასე იყო 28 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილის მიმართვის პირდაპირი ჩართვის შემთხვევაშიც. თუმცა, არჩევნების დღის მომდევნო კვირაში მომზადდა რამდენიმე შედარებით ვრცელი სიუჟეტი, მაგალითად, ახალი პრემიერ-მინისტრის შესახებ (2 ნოემბერი) და მიხეილ სააკაშვილის მომავალი გეგმების შესახებ (1 ნოემბერი).

დათმობილი დროის მიხედვით პირველი ხუთი სუბიექტი კვლავ მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისრტი იყო. რაც შეეხება გაშუქების ტონს, ყველა სუბიექტის შემთხვევაში ჭარბობს ნეიტრაური ტონი. ყევლაზე მეტი დადებითი (28%) და, ამავდროულად, უარყოფითი ტონის წილი (17%) მიხეილ სააკაშვილს აქვს. ასევე, დადებითი ტონის შედარებით დიდი წილი დაუფიქსირდა მთავრობას (21%), გიორგი მარგველაშვილს (19%) და პრემიერ-მინისტრს (15%).



კავკასია

არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს კავკასიაზე პრაიმტაიმის დროს 2 საინფორმაციო გამოშვება გავიდა, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ქვეყანაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებს და ნეიტრალურად და მიუკერძოებლად გაშუქდა მიმდინარე საარჩევნო პროცესები. სიუჟეტებში წარმოდგენილი იყვნენ ცესკოს წარმომადგენლები, საპრეზიდენტო კანდიდატები, მთავრობის წევრები, ამომრჩევლები. გამოაცხადეს რამდენიმე ეგზიტპოლის შედეგები. აჩვენეს ჩართვები პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის განცხადებებიდან, პრესკონფერენციებიდან, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბრობდნენ საარჩევნო პროცესის ხარვეზებზე.

ზოგადად, 27 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში კავკასიაზე გასულ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები ხშირად მოკლე და მშრალი იყო, შეინიშნებოდა ანალიტიკის სიმცირე და სიუჟეტში წარმოდგენილ წყაროთა ნაკლებობა. იყო ისეთი სიუჟეტებიც, რომლებიც ინფორმაციის მხოლოდ ერთ რესპონდენტზე, ან ერთი კონკრეტული ექსპერტის განცხადებებზე იყო აგებული. თუმცა, გავიდა დაბალანსებული და ანალიტიკური სიუჟეტებიც. მაგალითად, 1 ნოემბრის სიუჟეტი თვითმმართველობის რეფორმაზე ან 8 ნოემბრის სიუჟეტი ლარის კურსის დაცემასა და მის მიზეზებზე.

კავკასიის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არ გაშუქდა რიგი საკითხებისა, რაც სხვა არხებმა გააშუქეს. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ვიზიტი ბალტიისპირეთში, საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ვიზიტი საფრანგეთში, რუსეთის დროშის დაწვის ფაქტი ფოთში.

რაც შეეხება არხის მიკერძოებულობას, სიუჟეტები ძირითადად ნეიტრალურია და არ ტოვებს რომელიმე მხარისადმი მიკერძოებულობის შთაბეჭდილებას. მაგალითად, პრემიერ-მინისტრობის ახალი კანდიდატურის წარდგენის შემდეგ მომზადდა სიუჟეტი ირაკლი ღარიბაშვილზე, რომელშიც მისი ბიოგრაფია და საქმიანობა განხილული იყო როგორც დადებითი, ისე კრიტიკული კუთხით. იგივე შეიძლება ითქვას პრეზიდენტ სააკაშვილის 9-

წლიანი მმართველობის შემაჯამებელ სიუჟეტზეც, რომელშიც განხილული იყო სააკაშვილის მმართველობის მიღწევებიც და ხარვეზებიც.

საინტერესოა, პრეზიდენტ სააკაშვილის გაშუქების ტონის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზიც. პრეზიდენტს ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქების ტონი აქვს - 31 პროცენტი. თუმცა, ამავდროულად ეს არის ერთადერთი სუბიექტი, რომლის დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი გაშუქების წილებიც ყველაზე თანაბრადაა გადანაწილებული.



დასკვნა

არჩევნების დღე მონიტორინგის ქვეშ მყოფი არხების საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში მთლიანად საპრეზიდენტო არჩევნებს მიეძღვნა. ყველა არხზე საკმაოდ დეტალურად იყო გაშუქებული და აღწერილი მთელი დღის მიმდინარეობა თბილისის სხვადასხვა საარჩევნო უბნებსა და რეგიონებში. განხილული იყო საპრეზიდენტო კანდიდატებისა, პრემიერ-მინისტრის, პერზიდენტის, პარლამენტში თავმჯდომარის და სხვა პოლიტიკოსების აქტივოებები. ნაჩვენები იყო მათი კომენტარები, შეფასებები და მოსაზრებები. ძალიან აქტიურად ცხადდებოდა ეგზიტპოლების შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არხზე ამ დღეს, საღამოს საინფორმაციო გამოშვება სხვადასხვა სიგრძის იყო, შეიძლება ითქვას, რომ ყველა არხზე ეს გამოშვებები საკმაოდ ინფორმაციული და ამომწურავი იყო. ამასთან, არც ერთ არხზე არ შეინიშნებოდა მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ.

28 ოქტომბრიდან არჩევნები, არჩეული პრეზიდენტი, ინაუგურაციის დეტალები და მოქმედი პრეზიდენტის მომავალი გეგმები საინფორმაციო გამოშვებების ძირითადი თემები იყო. ამ საკითხებზე მზადდებოდა როგორც ანალიტიკური, ასევე ინფორმაციული ხასიათის სიუჟეტები. მთელი მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში პირველად, დათმობილი დროის მიხედვით პრემიერ-მინისტრი არ მოხვდა პირველ ხუთეულში, მასზე მეტი დრო გიორგი მარგველაშვილს დაეთმო.